საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2014 წლის 30 ივლისი

ქ. საჩხერე

,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №16 დადგენილებაში (სსმ/ვებგვერდი 16/07/2014) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) განიხილავს აუდიტორული შემოწმების ანგარიშს და დასკვანს, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; ნიშნავს საკრებულოს სხდომაზე კომისიიდან თანამომხსენებლს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისას.“

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ნადირაძე**